სასახელო რევანში

11 ივნისს კიევის “დინამომ” თავის მოედანზე დაამარცხა (1:0) თბილისელები. 13 სექტემბერს ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს მეორე წრის კალენდარულ მატჩში. თბილისის “დინამო” მოედანზე შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდა. ცენტრალური დამცველის საპასუხისმგებლო ადგილი მ. ჭელიძეს ეკავა, რომელსაც მარჯვენა მხრიდან ნახევარდამცველი ე. ტანტიბა ეხმარებოდა, ხოლო მარცხენა ზონას სარჯველაძე იცავდა. ასეთი განლაგების შედეგად თბილისელთა კარის მისადგომები საიმედოდ დაცული აღმოჩნდა. თავდასხმის წამყვანი და ორგანიზატორი ა. ზაზროშვილი იყო.

ზაზროშვილმა ანგარიში მე-3 წუთზე გახსნა.

თბილისელების თამაში სულ უფრო და უფრო ტემპიანად მიმდინარეობს, 30-ე წუთზე ანგარიში უკვე 4:1 იყო.

მეორე ტაიმი სტუმრების შეტევით დაიწყო. ისინი ხან მარჯვენა ფრთიდან ცდილობენ გასვლას, ხან მარცხნიდან, მაგრამ კარისკენ თავისუფალ გზას ვერ პოულობენ. რამდენიმე შორიდან დარტყმულ ბურთს მარღანია მშვიდად და იმედიანად იღებს, მალე თამაში ისევ კიეველთა ნახევარზე გადავიდა. 28-ე წუთზე ჯოჯუამ შორიდან მიაწოდა ღოღობერიძეს, რომელმაც ბურთი ზაზროშვილს გადასცა. თბილისელთა ცენტრი ორ მცველს შუა გავიდა და მაშინ დაარტყა, როცა მეკარე ზუბრიცკი მისკენ გამორბოდა. ანგარიში ხუთამდე გაიზარდა.

მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ კიეველები სრული ენერგიით და მონდომებით თამაშობენ. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბრძოლა ბოლო წუთებამდე არ შეუწყვეტიათ და ყოველ ხელსაყრელ მომენტს იყენებდნენ შეტევაზე გადასვლისათვის, რაშიც ხანდახან ცენტრალური დამცველი ლერმანიც მონაწილეობდა. ერთი ასეთი შეტევისას თბილისელებმა ბურთი მოიგერიეს და წინ გადატყორცნეს. ზაზროშვილის მიწოდებული ბურთი ჯოჯუამ მიიღო და წინ გაიჭრა. იგი პირისპირ დარჩა მეკარესთან და ნელა დაარტყა _ 6:1.

ბ. ქორქია.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 15 სექტემბერი, 1949 წ.